MES 9 23 0001448417

26/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლა
მადონა ლომსაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ_საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა
ნინო კომლაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლ ა
გენადი მარგველაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა
თეა მეტრეველი - დირექტორი
სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლა
ზაზა ელაშვილი - დირექტორი
სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა
ნინო ღვედაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლა
ნუკრი კობახიძე - დირექტორი
სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლა
თენგიზ ოსეფაიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):
სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლა
გულნარა ხაბურზანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავჯდომარე,
თამარ კეშელავა-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ნინო ზაუტაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ია სეხნიაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნინო მოლაშხია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი ,
გოგი ლატარია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ნოზაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო კოვზიაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

თამარ თავშავაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ედუარდ ნაკაიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა
ვარდენ ნიქაბაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავჯდომარე,
ნესტან სიხარულიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ალა სანამიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო ლაცაბიძე-უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი,
მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ანა ობოლაძე- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
მზია შევარდნაძე სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნონა გორგილაძე- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ქეთევან ქობალია- სპორტის საგნობრივი ექსპერტი ,
ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი.

სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლ ა
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავჯდომარე,
ნინო ფაილოძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
მარინა ჯალიაშვილი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ეკატერინე გავაშელიშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო წერეთელი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
თამარ წულუკიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
მარინე ჩახვაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
ელისო ვადაქარია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ცინცაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
მიხეილ გაფრინდაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
მანანა როსტომაშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა
ციალა გაგნიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნატალია ბეიტრიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
მარინა ჯალიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
მამუკა ხაჩიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
თამარ ხოსროშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ნოზაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
მანანა როსტომაშვილი - განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლა
ლიკა გიორგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
გვანცა გოგოლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
მარინე ჩიტაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა
ნათელა ბასილია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი , თავმჯდომარე,
თინათინ გიორგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ინგა ალავერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნიკოლოზ გურგენიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ანანო შანავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლა
ირმა ტატიშვილი _ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე,
ცისანა კობახიძე_ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ფიქრია მუმლაძე_საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ხატია ჭალიძე_საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო თამარაშვილი _უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
თამარ თავშავაძე_ ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
თინათინ მარქარაშვილი _ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
მარიამი ღუბელაძე_ სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნინელი ცერცვაძე_ მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ალექსანდრე ჩახნაშვილი_ სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
მანანა როსტომაშვილი_ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლა
ელენე კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე,
ნათია ბრეგაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ,
თეა მელქაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
მზია კიპაროიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
გიორგი ნებიერიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ლეილა ხელისუფალი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
მორის გუმბარიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
ხათუნა ქერაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ხათუნა გერგაია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ალექსანდრე ჩახნაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი,

ეკატერინე კვირკველია - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 13 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა თვითაცილების შესახებ აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი თანამშრომლობდა აღნიშნულ სკოლასთან და გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი, საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ზემოაღნიშნული.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისს და 1-ელ აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლის ქ. N86 -ში
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 600 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა სკოლაში განხორციელებულ პროექტებზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიულ ორიენტაციას და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. ექსპერტის განცხადებით სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები. მათ შორის „სამოქალაქო კლუბი“, „ეკო- კლუბი“ და კლუბი „კარდუ“, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი შეხვედრების დრო საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ.
ექსპერტმა გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით, ქონდა თუ არა სკოლას ლიფტი, რომელსაც გამოიყენებდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას არ გააჩნდა ლიფტი, თუმცა პირველ სართულზე, სადაც შესაძლებელია ე.წ. „პანდუსით“ გადაადგილება, განლაგებულია საჯარო სარგებლობის ყველა სივრცე, შესაბამისად ლიფტის არარსებობა, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს არ შეუქმნის ბარიერს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს მიმართა კითხვით, საჭიროებდა თუ არა გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმები, დახვეწისა და განვითარების მიზნით, დამატებით რჩევებს ან მითითებებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა გოგი ლატარიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში გეოგრაფიისა და

მოქალაქეობის კურიკულუმები არ იყო სრულყოფილი. თუმცა, აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ ვიზიტი განხორციელდა ზაფხულის პერიოდში. მაშინ, როდესაც სასწავლო პროცესები სკოლაში არ მიმდინარეობდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებმა მისგან მიიღეს ზეპირი რჩევები, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ სასწავლო პროცესების დაწყებამდე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტზე და აღნიშნა, რომ ხსენებულ დოკუმენტში იყო გარკვეული მითითებები, რომელიც უსაფრთხოების მიზნით სკოლას უნდა შეესრულებინა. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ მოხდა სკოლის მხრიდან აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და მოცემული მომენტისთვის რა ეტაპზე იმყოფება სკოლა. სკოლის დირექტორმა მადონა ლომსაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, სკოლას უკვე მიმართული ჰქონდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 600-ით განსზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა არ ადასტურებდა შენობის უსაფრთხოების საკითხს და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლას (ს/კ: 225389273) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.N86
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.N86
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.N86

2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ_ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სავანეში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 500 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.2, 3.3, 3.4 და 3.6 „მეტწილად“ შესაბამისობაში იყო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა სკოლაში განხორციელებულ პროექტებსა და პოზიტიურ გარემოზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიებში და საკლასო ოთახებში ნათლად იყო წარმოდგენილი მოსწავლეების შრომის შედეგები, განხორციელებული პროექტებისა და კომპლექსური დავალებების სახით.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანდა, რომ სკოლა რიგ შემთხვევებში არ აწარმოებს დოკუმენტაციას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა ყურადღება გაამახვილა იჯარასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ერთწლიან იჯარასთან დაკავშირებით ნებართვა სკოლას მიღებული ქონდა გასული წლის სექტემბერში, ხოლო სკოლის მხრიდან ერთი თვის შემდეგ (ოქტომბერში) ხდება აღნიშნული ერთწლიანი ხელშეკრულების ერთი წლით

გაფორმება. საბჭოს წევრმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა სკოლის ხელმძღვანელს, რატომ მოხდა სკოლის მხრიდან აღნიშნული იჯარის ნებართვის გახანგრძლივება. სკოლის დირექტორმა ნინო კომლაძემ აღნიშნა, რომ ნებართვის მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ მოხდა ხელშეკრულების გაფორმება და სწორედ ამან განაპირობა თარიღებს შორის უზუსტობა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა მეორე სტანდარტზე და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საგნის ექსპერტებს მიმართა კითხვით, რამდენად სრულყოფილი იყო მათი მოსაზრებით აღნიშნული დოკუმენტები და თუ ქონდათ მათ კურიკულუმებთან მიმართებით რაიმე სახის რჩევები და რეკომენდაციები. მათემატიკის ექსპერტმა ნონა გორგილაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში თავდაპირველ ეტაპზე შეინიშნებოდა ხარვეზები. სკოლამ მიიღო დეტალური რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა შემდეგ გარკვეული ცვლილებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ქონდა თუ არა სკოლას სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა, ნინო კომლაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ამ დროისთვის უკვე ქონდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტი. შენობის მდგრადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან დაკავშირებით სკოლა ელოდებოდა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა, მხარი არ დაუჭირა სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის 4-ე პუნქტის შესაბამისად, სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლას (ს/კ: 239404006) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი სავანე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი სავანე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი სავანე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტების მიერ კომპონენტები 3.2, 3.3, 3.4 და 3.6- ით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ - მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო

სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 აგვისტოს. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ქალაქ ქუთაისში, შემდეგ მისამართებზე : რუსთაველის N127 და ჯავახიშვილის N21. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1950 მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით 2016 წლიდან სკოლას მინიჭებული ჰქონდა ფიზიკა- მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სტატუსი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან, ერთ-ერთი კორპუსის რეაბილიტაციის მიზნით, მოცემული დროისთვის ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა გამოირჩეოდა ფიზიკის ლაბორატორიით, რომელიც მრავალფეროვანი რესურსებით მოსწავლეებს აძლევდა საინტერესო შესაძლებლობებს. სკოლაში ასევე წარმატებით ხორციელდებოდა კლუბური მუშაობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) , სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.5 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა ელისო ლოლაშვილ-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლიდან გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე სკოლებს აქვთ ვალდებულება სამ წელიწადში ერთხელ წარადგინონ ანგარიში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით თუ ქონდა სკოლას ასეთი სახის ანგარიში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გენადი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ სტატუსის მინიჭების შემდეგ სკოლას ასეთი სახის ანგარიში არ წარუდგენია. ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ქონდა თუ არა სკოლას კლასის დაძლევის განსხვავებული ბარიერი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, სტატუსიდან გამომდინარე სკოლას გააჩნდა განსხვავებული ბარიერი ფიზიკასა და მათემატიკაში. სკოლაში ასევე ტარდება შიდა გამოცდები მეექვსე და მეცხრე კლასის ბოლოს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მოსწავლის კლასიდან- კლასში გადასვლის საკითხი. სკოლის დირექტორმა ასევე განაცხადა, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები და ოლიმპიადები.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა სკოლის სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი სუსტი მხარეებით და დირექტორს მიმართა კითხვით, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა სკოლა უშუალოდ ამ პრობლემების მოგვარების მიზნით და მოცემული დროისთვის რა ეტაპზე იყო სკოლა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის დაგეგმილი იყო გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც განხორციელდებოდა ეტაპობრივად. გენადი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში, სასწავლო პროცესების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სკოლა თავს იკავებდა ამ ნაბიჯების განხორციელებისგან და ელოდება შესაფერის პერიოდს. დირექტორის განცხადებით 2024

წლისთვის უკვე დაგეგმილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა, როგორც იყო სკოლის უსაფრთხო გარემო, ლიფტის მონტაჟი, ლაბორატორიების მოწესრიგება.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმები რიგ შემთხვევაში არ არის სრულყოფილი და საგნის ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ ქონდათ სკოლასთან აღნიშნულზე რაიმე სახის რეკომენდაცია. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნორბივმა ექსპერტმა, ეკატერინე გავაშელიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლების მხრიდან იყო ძალიან მაღალი მზაობა. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტებისგან მიიღეს გარკვეული რჩევები, რის შემდეგაც შეიმუშავეს დამატებითი დოკუმენტაციები და მიაწოდეს ექსპერტებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, მარინა ჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა ფიზიკაში კომპლექსური დავალებების რაოდენობა განსაზღვრულიყო მათი სურვილის შესაბამისად და დანარჩენი თემები დაეფარათ კვლევითი და პროექტული სახის დავალებებით. მათემატიკის ექსპერტმა პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ სკოლის მიერ მოწოდებული მათემატიკის კურიკულუმები ძალიან დეტალურად იყო გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 1950-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლას (ს/კ : 212708202) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1950 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქუთაისი, ჯავახიშვილის 21, რუსთაველის №127

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქუთაისი, ჯავახიშვილის 21, რუსთაველის №127
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქუთაისი, ჯავახიშვილის 21, რუსთაველის №127

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე გცენტრში წარმოედგინა შემდეგი სახის დოკუმენტაცია: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან; ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი ფოტო-მასალა.

4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ლაგოდეხში, ჭავჭავაძის ქ.N49-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 450 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4. და 3.6. მეტწილად შესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა ციალა გაგნიძემ აღნიშნა, რომ სკოლა იყო ეთნიკურად მრავალფეროვანი. ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყო როგორც სკოლის მისიის შედგენის დროს, ისე სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად ცდილობდა განვითარებას, რაც დასტურდებოდა არაერთ საერთაშორისო

პროექტთან აქტიური თანამშრომლობით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას პრაქტიკულად არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა, სკოლა ახერხებდა ვირტუალური ლაბორატორიის აქტიურად გამოყენებას.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სკოლის ორგანოგრამაში არ იყო გათვალისწინებული სკოლის პედაგოგიური საბჭო. აღნიშნულთან დაკავშირებით ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ მოხდა, რომ სტრატეგიულ ხედვაში პედაგოგიურ საბჭოს, როგორც სტრუქტურული ერთეულის გათვალისწინება არ მოხდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თეა მეტრეველმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და სკოლის მხრიდან სასწრაფოდ მოხდებოდა მისი გამოსწორება. ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სკოლის მიერ იჯარით და სარგებლობის უფლებით მიღებულ ფართებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, აღნიშნული ფართები სკოლას იჯარით ქონდა მიღებული თუ სარგებლობის უფლებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ სკოლას აღნიშნული ფართები სარგებლობით ქონდა მიღებული.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა შეფასების რუბრიკით და კურიკულუმით, სადაც საბჭოს წევრის განცხადებით შეინიშნებოდა არაერთი ხარვეზი. შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, როგორ მოხდა აღნიშნული კომპონენტების შეფასება, როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა მარინა ჯალიაშილმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე სკოლის მასწავლებლებმა ექსპერტს გაუზიარეს მუშაობის სტილი, ექსპერტის უკუკავშირის შემდეგ კი სკოლის მხრიდან მოხდა დამატებითი დოკუმენტაციის სახით შეფასების რუბრიკების წარმოდგენა, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი. აღნიშნული გაიზიარა დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა მანანა როსტომაშვილმა და განაცხადა, რომ თავდაპირველ ეტაპზე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იყო მცირე რაოდენობის მასალები, ექსპერტისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ სკოლამ ვრცლად წარმოადგინა მათ მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ , დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა კომპონენტ 3.4 და 3.6-ზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, მოხდა თუ არა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თეა მეტრეველმა აღნიშნა, რომ ვებ- გვერდთან დაკავშირებით, მოცემული დროისთვის აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა. ასევე სკოლას დაწყებული ქონდა მოლაპარაკებები შესაბამის უწყებებთან კომპონენტ 3.4- ში ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ

ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლას (ს/კ : 233137860) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ლაგოდეხი, ჭავჭავაძის ქ.N49
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ლაგოდეხი, ჭავჭავაძის ქ.N49
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ლაგოდეხი, ჭავჭავაძის ქ.N49

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტების მიერ კომპონენტ 3.4- ით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა გიორგაძემ. მან განაცხადა, სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 20 და 21 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა დუშეთის მუნიციპალიტეტ სოფელ პირმისაანთკარში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 205.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლად რეაბილიტირებული, ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, ჰქონდა განახლებული საკლასო ოთახები და შიდა და გარე სპორტული მოედანი.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარა ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, თუმცა კომპონენტი 1.2 როგორც მეტწილად შესაბამისი. მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტი 2.2 ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ვინაიდან კომპონენტი 3.6 შეფასდა მეტწილად შესაბამისად, კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3 , 3.4 შეფასდა მეტწილად შესაბამისად, მეოთხე სტანდარტის ორივე კომპონენტი შეფასდა სრულად შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა დაიწყეს თუ არა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება და რა ეტაპზე იყო პროცესები.

სკოლის დირექტორმა ზაზა ელიაშვილმა განაცხადა, რომ ყველა დოკუმენტზე დაწყებული ჰქონდა მუშაობა კათედრებთან ერთად და ამ ეტაპზე შემუშავებული იყო სამუშაო ვერსიები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულებას თუ ჰქონდა შემუშავებული 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რასთან დაკავშირებითაც

ექსპერტმა ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლას შესაბამისობის გეგემასთან ერთად წარმოდგენილი და დამტკიცებული ჰქონდა ორივე დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის გაცნობის შემდეგ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა შეფასდა სტანდართან შესაბამისად, თუმცა ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე კვლავ გაიცა რეკომენდაცია, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავდა ხარვეზებს შინაარსობრივად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 205-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლას (ს/კ: 229325334) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 205- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირმისაანთკარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირმისაანთკარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირმისაანთკარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი**: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა**: ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები**: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტი, კერძოდ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე, მესამე სტანდარტის კომპონენტებით 3.1; 3.2; 3.3; 3.4; 3.6 კომპონენტებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ცენტრში.

6. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათელა ბასილაიამ. მან განაცხადა, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 სექტემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტ სოფელ ძველ ანაგაში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლაში 2014 წლიდან ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი, რომლის მიერ განხორციელებული აქტივობა იყო თემზე მორგებული. კლუბი აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობებს სკოლისა და სოფლის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესებისათვის.

ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ჩატარდა ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ვინაიდან კომპონენტები 3.4 მეტწილად შესაბამისად.ასევე კომპონენტი 3.6 შეფასდა მეტწილად, რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტქრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, ჰქონდა მოვლილი ეზო და საკლასო ოთახები, სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და კომპიუტერული ლაბორატორიები და ექიმის კაბინეტი.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და სკოლა აღჭურვილი იყო საავარიო გასასვლელებით გარდა ერთი კონკრეტული კარისა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო იმ საევაკუაციო კარის დამატების პროცესი, რომელზედაც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ღვედაშვილმა განაცხადა, რომ მათ მიმართეს ინფრასტრუქტურის სააგენტოს და ელოდებიან შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა როგორ აპირებდნენ იმ ხარვეზების გამოსწორებას რომელიც ჰქონდა მათ მიერ შემუშავებულ ერთწლიან სამოქმედო გეგმას, სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ღვედაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში გაპარული იყო ტექნიკური ხარვეზები რომლის გამოსწორებაზეც მუშაობდნენ.

საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სკოლამ წარმოადინოს შესწორებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ცენტრში შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს შუამდომლობა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის (ს/კ:240413218) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი ანაგა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი ანაგა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი ანაგა

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტი, კერძოდ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გადაამუშაოს და წარმოადგინოს ცენტრში, ასევე ცენტრში წარმოადგინოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და ასევე განახორციელოს საევაკუაციო კარის დამატება 2025 წლის ოქტომბრამდე.

7. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ტატიშვილმა. მან განაცხადა, სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტ სოფელ ჩხარში დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 75.
ექსპერტმა, ირმა ტატეიშვილმა, მიმოიხილა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა და აღნიშნა, რომ 2021 წლამდე სკოლა ფუნქციონირებდა ყოფილი ფილების ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში, მას ყოველთვის ჰყავდა მცირე, თუმცა სტაბილური კონტიგენტი, რომლისთვისაც ეს სკოლა მიმზიდველი იყო პედაგოგიური კოლექტივის მაღალი კვალიფიკაციისა და სანდოობის გამო. 50 მოსწავლიდან 48 სარგებლობდა ტრანსპორტირების ქვეპროგრამით იმისათვის, რომ ამ სკოლაში მიეღოთ განათლება. სკოლის მასწავლებლები იყვნენ მოტივირებული და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. სკოლის ახალი შენობა იძლეოდა მეტ შესაძლებლობას სასკოლო პროექტების განხორციელებისათვის. საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ საშუალო საფეხურზე. სკოლას ჰქონდა მასწავლებლებისთვის განსაკუთრებული დამსახურებისათვის სტატუსის ამაღლებისათვის წარმატებული წარდგენის გამოცდილება.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი , მესამე სტანდარტი შეფასდა შესაბამისი, კომპონენტები 3.4 კი შეფასდა მეტწილად შესაბამისად . რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით. 3.4 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას სჭირდებოდა მხოლოდ ფეთქებადსაშიში ნივთიერებათა აღმომჩენი დეტექტორის მწყობრში მოყვანა.
ირმა ტატეიშვილმა, ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ერთსართულიანი, ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, ასევე სკოლას ჰქონდა სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო

რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა დაოქმების სახით და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაედასტურებინა რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ კონკრეტულ შემთხვევაში, კერძოდ რა პრინციპით აწერდნენ ხელს სასკოლო საზოგადოების წევრები ხელს ოქმებს და, ზოგადად, როგორ ფუნქციონირებდა სასკოლო საზოგადოება, როგორც სტრუქტურული კოლეგიალური ორგანო.
სკოლის დირექტორმა ნუკრი კობახიძემ აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც სკოლამ დაიწყო მუშაობა ისეთი დოკუმენტაციის შემუშავებაზე, როგორიც არის ხედვა, მისია, ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები, მან შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა მოცემულ დოკუმენტაციაზე. . ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც ხელს აწერდნენ წარმოდგენილ სასკოლო საზოგადოების ოქმებს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ ნახეს თუ არა მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც შეტანილი იქნებოდა საფეხურის ბოლოს მოსწავლეთა მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ ინფორმაცია.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, აღნიშნა, რომ პირად საქმეებში მსგავსი ინფორმაცია არ შეხვედრიათ, მოცემული დოკუმენტები მოიცავდა ისეთ ინფორმაციას, როგორიც არის, მაგალითად, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა სკოლას მისცა რეკომენდაცია მოსწავლეთა პირად საქმეებში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, განეთავსებინათ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაცია.
საბჭოს წევრმა დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო ფეთქებადი ნივთიერებების აღმომჩენი დეტექტორის დამონტაჟების/შეკეთების საკითხი.
სკოლის დირექტორმა, ნუკრი კობახიძემ, განაცხადა, რომ ისინი დაუკავშირდნენ კომპანიას, რომელიც უახლოეს მომავალში უზრუნველყოფდა დეტექტორის მწყობრში მოყვანას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 75-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ -

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლას (ს/კ:232004648) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 75- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი

8. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ელენე კალანდაძემ მან განაცხადა, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ სოფელ ერკეთში დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი

საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ხოლო მეორე სტანდარტი სამივე საფეხურისთვის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი . ექსპერტის განცხადებით სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და გარე სპორტული მოედანი.

ექსპერტმა ელენე კალანდაძემ ასევე ისაუბრა მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხზე და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას. ადგილმდებარეობიდან გამოდინარე სკოლა მცირეკონტიგენტიანი იყო, რაც ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის, კერძოდ, იკვეთებდა თვითმმართველობის, მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების ინიციატივები სხვადასხვა აქტივობებთან მიმართებით, მაგალითად: ეკოკლუბის ფარგლებში მწვანე კუთხის მოწყობა, ნარჩენების სეპარირება, ხეების დარგვა, გარემოზე ზრუნვა. სასკოლო საზოგადოება და ეკოკლუბის წევრები აქტიურად ერთვებოდნენ მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით სასკოლო ღონისძიებებში და ჰქონდათ საკუთარი წვლილი ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებასა და განვითარებაში. სკოლა პროექტის ფარგლებში ახორციელებდა მეფუტკრეობის საქმიანობის ადგილზე გაცნობას და პროფესიის და პროდუქტის პოპულარიზაციას, საკალმახე მეურნეობის მონახულებას და საუბარს მეწარმესთან. სკოლაში ასევე შექმნილი იყო მოსწავლისთვის მხარდამჭერი გარემო, რათა იდეა აქციონ პროდუქტად და შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლას მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინათ რა ეტაპზე იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და გარე სპორტული მოედნის მოწყობის პროცესები.

სკოლის დირექტორმა, თენგიზ ოსეფაიშვილმა აღნიშნა, რომ პროცესები დაწყებული ჰქონდათ. სკოლას გაგზავნილი ჰქონდა მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან და განათლების სამინისტროსთან. ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად გარე სპორტული მოედანისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არ ქონისა, მასწავლებლებს გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდათ სხვა ალტერნატივები, როგორებიც იყო ვირტუალური ლაბორატორიები და სპორტის გაკვეთილისთვის დამატებით თეორიულ მასალასთან ერთად სხვადასხვა საკლასო აქტივობები.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სპორტის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა განემარტა იყო თუ არა გარე სპორტული მოედნის არარსებობა ხელისშემშლელი ფაქტორი სასწავლო პროცესში.

სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, ალექსანდრე ჩახნაშვილმა, დაადასტურა, რომ სპორტის კურიკულუმები მოიცავდა ითვალისწინებდა გაკვეთილებს უამინდობის შემთხვევაშიც. მაგალითისთვის მოსწავლეები გაეცნობოდნენ თეორიულ მასალას და პროექტული სწავლების ფარგლებში თემებს როგორიცაა სწორი კვება, ჰიგიენა და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლას (ს/კ:242007608) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაური,სოფელი ერკეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაური,სოფელი ერკეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაური,სოფელი ერკეთი

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარადგინოს დოკუმენტაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და გარე სპორტული მოედნის მოწყობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:05 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა